



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia



KA030134206884120

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/7478

02 / ივლისი / 2020 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ლევან კობერიძეს

ბატონო ლევან,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი 11 მაისის N4105/3-48/20 წერილი ეპიდსიტუაციის პროგნოზის სცენარების და საგანგებო მდგომარეობის პირობებში შეზღუდვების დანესების რეკომენდაციების გაცემისთვის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის მინოდების თაობაზე. საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ბატონ დიმიტრი ხუნდაძის 20 მაისის N4255/4-13/20 წერილით კვლავ იქნა გაუფრებელი აღნიშნული საკითხები.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, 2 ივნისს N01/5848 წერილით გაცნობეთ, რომ მიმდინარე წლის 25 მაისს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ წარმოდგენილი ანგარიში მოიცავდა იმ ეპიდემიოლოგიური ინსტრუმენტების და მაჩვენებლების დეტალურ მიმოხილვას, რასაც სამინისტრო ახალი კორონავირუსით გამონეული პანდემიის პასუხის დაგეგმვისთვის იყენებს.

COVID-19-თან მიმართებაში საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, დამატებით გაცნობებთ, რომ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ყოველდღიურად აახლებს საქართველოში COVID-19-ის რეპროდუქციის ინდექსს, რომელიც ითვალისწინებს COVID-19-ის პირველი შემთხვევის დადგენის დღიდან მოყოლებულ თითოეულ დღეს ახალი შემთხვევებისა და კონტაქტირებულების თანაფარდობას. ეპიდსიტუაციის ანალიზისთვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდოლოგია: 1) პენსილვანიის COVID-19 Hospital Impact Model for Epidemics; 2) ბაზელის უნივერსიტეტის (შვეიცარია) მიერ შემუშავებული მათემატიკური მოდელირება და 3) გრიპების პანდემიისთვის აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების FluSurge 2.0 მეთოდი. რაც შეეხება შეზღუდვის ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილებებს, აღნიშნული მიიღება საკოორდინაციო საბჭოს მიერ და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მ.შ. კოვიდ-19-ის გავრცელების შემთხვევების რაოდენობასა და სიმწვავეზე, გავრცელების გეოგრაფიულ არეალზე, კლასტერების რაოდენობაზე, ძეორეს მხრივ, ჯანდაცვის სისტემაში არსებული ადამიანურ და ჰოსპიტალურ სიმძლავრეებზე, მეზობელი ქვეყნებში ეპიდსიტუაციაზე და ა.შ.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ მზაობას მოგანოდოთ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია.

პატივისცემით,

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელემენტარულად



გიორგი ჭავჭავაძე